ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №690803

ნომერი: AR1131039

თარიღი : 13.05.2013

გაცემის თარიღი : 16.05.2013

გაცნობის თარიღი : 17.05.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი გლდანი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ზანგალაძე პ/ნ 01013009055
- თბილისი ვარკეთილი 3 III"ა" მ/რ კორ. 335 ბ. 142

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო შენობა სცდება I კლასის მახასიათებლებს (მოშენების ფართი შეადგენს 114.50 კვ.მ), და ხასიათდება მეორე კლასით, რომელზეც მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭიროა სამი სტადიის გავლა. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია) ამ შემთხვევაში თქვენს მიერ აღნიშნული სტადია გავლილია (გადაწყვეტილება №616050 15.04.2013წ.), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ელექტრონულ განცხადებებში საჭიროა აირჩიოთ "მშენებლობის ნებართვა" , აირჩიოთ სამსახურის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (გადაწყვეტილება №616050 15.04.2013წ.) მიხედვით შესაბამისი ნომენკლატურა და შეავსოთ ყველა საჭიროა ველი (შესაძლებელია II და III სტადიების ერთად გავლა).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge